ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის
სადისერტაციო საბჭოს კოლეგია

სხდომის ოქმი N 05/15

ქ. თბილისი 2015 წლის 15 სექტემბერი

სხდომას ესწრებოდნენ:

ალექსანდრე შენგელაია
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი,
ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე

რამაზ ბოჭორიშვილი
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი,
ფაკულტეტის დეკანი

თამაზ თადუმაძე
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი,
ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მათემატიკის დარგობრივი სექციის თავმჯდომარე

თამაზ კერესელიძე
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი,
ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს ფიზიკის დარგობრივი სექციის თავმჯდომარე

გიორგი ღვედაშვილი
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი,
ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის
დარგობრივი სექციის თავმჯდომარე

შოთა სამსონია
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი,
ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს ქიმიის დარგობრივი სექციის თავმჯდომარე

ბეჟან თუთბერიძე
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი,
ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გეოლოგიის დარგობრივი სექციის თავმჯდომარე

ალექსანდრე თევზაძე
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი,
ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანი

<u>საკითხი 2</u>

მოისმინეს:

სადისერტაციო საბჭოს მდივანმა ალექსანდრე თევზაძემ კოლეგიის წევრებს გააცნო ქიმიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის თამარ მახარაძისაგან შემოსული დოკუმენტაცია: დამატებითი სემესტრის გადასახადის დასაფარავად დოქტორანტის განაცხადის ფორმა, შრომათა სია და ხელმძღვანელის რეკომენდაცია. ალექსანდრე თევზაძემ კოლეგიის წევრებს ასევე გააცნო ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტის ფიზიკური და ანალიზური ქიმიის კათედრის გამგის აკადემიკოს ბეჟან ჭანკვეტაძის წერილი, რომელშიც განმცხადებელი აღნიშნავს, რომ დოქტორანტ თამარ მახარაძეს არ აქვს გამოქვეყნებული პუბლიკაცია იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალში, დოქტორანტმა 3 წლის განმავლობაში ვერ მოიპოვა დოქტორანტის გრანტი და ვერ დაასრულა სადისერტაციო ნაშრომი. აქედან გამომდინარე პროფ. ჭანკვეტაძე დოქტორანტ თამარ მახარაძის სასწავლო პროცესში ჩართვის წინააღმდეგია. პროფ. ჭანკვეტაძე აღნიშნავს, რომ მას სურს მხარი დაუჭიროს დოქტორანტ თამარ მახარაძეს სადისერტაციო ნაშრომის დასრულებაში და სთავაზობს მას სამსახურს ფიზიკური და ანალიზური ქიმიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, სადაც მიღებული გასამრჯელო საკმარისი იქნება დოქტორანტის დამატებით სემესტრში სწავლის საფასურის დასაფარავად.

აზრი გამოთქვეს:

სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ალექსანდრე შენგელაიამ აღნიშნა, რომ იმპაქტ ფაქტორიანი პუბლიკაციის ქონა არ უნდა იყოს აუცილებელი პირობა დოქტორანტის სასწავლო პროცესში ჩასართველად. მეორეს მხრივ პროფ. შენგელაიამ აღნიშნა, რომ ასეთ სიტუაციაში მნიშვნელოვანია ხელმძღვანელის რეკომენდაციის შინაარსი. დოქტორანტის ხელმძღვანელის რეკომენდაციაში არ ჩანს რა ეტაპზეა თამარ მახარაძის სადოქტორო თემა. პროფ. შენგელაიამ სადისერტაციო კოლეგიას შესთავაზა შეიმუშაონ დოქტორანტის ხელმძღვანელის რეკომენდაციის ფორმა, სადაც ჩაიწერება სავალდებულო ველები, რაც ხელს შეუწყობს კოლეგიას სამომავლოდ კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღებაში.

ქიმიის დარგობრივი სექციის თავმჯდომარემ პროფ. შოთა სამსონია დაეთახმა პროფ. შენგელაიას მოსაზრებას. მან აღნიშნა, რომ ხშირად დოქტორანტები ახერხებენ იმპაქტ ფაქტორიანი პუბლიკაციის გამოქვეყნებას სადისერტაციო ნაშრომის დასრულების მომენტისათვის უკვე დამატებითი სემესტრის მიმდინარეობის პერიოდში.

ფიზიკის დარგობრივი სექციის თავმჯდომარემ პროფ. თამაზ კერესელიძემ აღნიშნა, რომ სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი ნაწილი შესრულებული უნდა იყოს სწავლის ძირითადი 6 სემესტრის განმავლობაში. ამიტომ მნიშვნელოვანია დოქტორანტის ხელმძღვანელმა რეკომენდაციის ფორმაში მიუთითოს სადისერტაციო ნაშრომის

დაახლოებით რამდენი პროცენტია შესრულებული დამატებითი სემესტრის მოთხოვნის მომენტში.

ფაკულტეტის დეკანმა პროფ. რამაზ ბოჭორიშვილმა აღნიშნა, რომ დოქტორანტ თამარ მახარაძის ხელმძღვანელის რეკომენდაცია მართლაც არასრულია. დოქტორანტის ხელმძღვანელი არ აღნიშნავს რა ეტაპზეა დოქტორანტის კვლევა, ან შეუწყობს თუ არა დოქტორანტის სასწავლო საქმიანობაში ჩართვა მის კვლევით საქმიანობას, თუ პირიქით. რადგანაც განხილვის საგანს წარმოადგენს დოქტორანტის დამატებითი სემესტრის გადასახადის დაფინანსება, მისი აზრით მისაღებია პროფ. ჭანკვეტაძის წინადადება დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დასაქმებასთან დაკავშირებით.

დაადგინეს:

დოქტორანტურის დამატებითი სემესტრის გადასახადის დაფინანსების მიზნით ქიმიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ თამარ მახარაძეს მიეცეს რეკომენდაცია ფაკულტეტის ფიზიკური და ანალიზური ქიმიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დასასაქმებლად.

დაევალოს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შეიმუშაოს სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ დოქტორანტის რეკომენდაციის ფორმა, რომელიც დეტალურად ასახული იქნება სადისერტაციო ნაშრომის შესრულების ეტაპი, დამატებითი სემესტრის მოთხოვნის დასაბუთება და დოქტორანტის სასწავლო პროცესში ჩართვის შესაძლებლობა.

15-03-15